

საქართველოს კანონი  
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N22, 18.05.2005, მუხ.151) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

1. მე-3 მუხლის „მ“ და „ო“ „ფ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი – რეესტრი, რომელსაც ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. რეესტრში აისახება შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც რეესტრში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში. რეესტრი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (შემდგომში – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი);


ო) საფასური – სატენდერო წინადადების წარდგენისათვის ამ კანონით დადგენილი ოდენობით ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება;

ფ) კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერი – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში ერთგვაროვანი საქონლის შესყიდვის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერი, რომლის დროსაც გამოვლინდება გამარჯვებული და გამარჯვებულის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.“

2. მე-4 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. უფლებამოსილი ორგანო

1. ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე უფლებამოსილ ორგანოს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. უფლებამოსილი ორგანო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში – სააგენტო), რომლის თავმჯდომარესაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“



3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> პუნქტი:  
„3<sup>1</sup> სააგენტოს რეორგანიზაცია, ლიკვიდაციო ხორციელდება საქართველოს  
პრეზიდენტის ბრძანებულებით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

